ღანი

„ღანი“ - ღია კონკურსი ახალგაზრდა ხელოვანებისთვის

ფერწერა, გრაფიკა

მონაწილეობის მიღება შეუძლიათ

▪ სტუდენტებსა და ახალგაზრდა მხატვრებს
▪ ინდივიდუალურად ან ჯგუფურად
▪ თითოეულ მონაწილეს/ ან მონაწილეთა ჯგუფს შეუძლია წარადგინოს მხოლოდ ერთი ნამუშევარი

თემატიკა

მონაწილემ უნდა წარადგინოს ნამუშევარი (ტექნიკა: ფერწერა, გრაფიკა, შერეული ტექნიკა ან ციფრული ხელოვნება), რომელიც შექმნილია ასომთავრული ასონიშნის ***„ღანი“-ს*** **(** ∩ **)** გამოსახულების საფუძველზე, ან ეყრდნობა თემასთან დაკავშირებულ ალეგორიულ სახეებს.

საკვანძო თემებია:
▪ სიყვარული
▪ სულიერი აღმასვლა
▪ ადამიანის შინაგანი გარდაქმნა, განღმრთობა

საკონკურსო მასალები

▪ ნამუშევრის 1–3 ფოტო (მინიმუმ 300 dpi)
▪ ნამუშევრის კონცეფციის ტექსტი (მაქსიმუმ 1 გვერდი)
▪ შევსებული განაცხადის ფორმა – დანართი 1

▪ ციფრული ნამუშევრის შემთხვევაში — მითითება, თუ რა ტექნიკურ მხარდაჭერას საჭიროებს საგამოფენო წარმოდგენისათვის

📌 **შენიშვნა:**

- კონკურსანტის ინტერესებიდან გამომდინარე ნამუშევრებზე არ უნდა იყოს მითითებული ავტორის სახელი, ლოგო ან კონტაქტები. ფოტოებზე არ უნდა იყოს საავტორო მინაწერები ან ბრენდირება.
- საკონკურსო ნამუშევარი არ უნდა გასაჯაროვდეს კონკურსის დასრულებამდე (25 ოქტომბერი), მათ შორის სოციალურ მედიაში, ვებსაიტზე ან სხვა არხებით; წინააღმდეგ შემთხვევაში მონაწილე შეიძლება მოიხსნას კონკურსიდან.

საგამოფენო ნამუშევრები

ტრადიციული / ფიზიკური ნამუშევრები

▪ ტექნიკა: ფერწერა, გრაფიკა, შერეული მედია
▪ ზომა: თავისუფალი, რეკომენდებული მაქსიმუმი — 150 სმ ერთ მხარეზე
▪ ნამუშევარი უნდა იყოს გამოფენისთვის მზად მდგომარეობაში — ჩარჩოში ან პლანშეტზე წარმოდგენილი

ციფრული ან მულტიმედიური ნამუშევრები

▪ ფორმატები:

- ციფრული ფერწერა
- ანიმაცია
- გიფი
- ვიდეოარტი
- ინტერაქტიული ნამუშევრები

▪ წარდგენის გზა:

- ვიდეო-პრეზენტაცია (mp4, მაქს. 30 წამი)
- ფოტო: .png ან .jpeg, მაქს. 4K გაფართოება (3840x2160)

📌 **შენიშვნა:**
მონაწილე ადასტურებს, რომ წარდგენილ ნამუშევარზე ავტორობა ეკუთვნის მას. ორგანიზატორს უფლება აქვს, საჭიროების შემთხვევაში, შეამოწმოს ნამუშევრის ავტორობა.

- დამატებითი კითხვებისთვის დაუკავშირდით ასოციაციას:

✉ ელფოსტა: ghani@tasa.ge
☎ ტელეფონი: (+995) 555 44 22 01

Tbilisi Architechts and Sculptors Association
თბილისის არქიტექტორთა და სკულპტორთა ასოციაცია